კონვენცია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ

გავრცელება: საყოველთაო
2020 წლის 17 აპრილი

შედგენილია ინგლისურ ენაზე

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კომიტეტი

საქართველოს პირველად ანგარიშთან დაკავშირებით წარსადგენ საკითხთა ნუსხა

ა. მიზანი და ზოგადი ვალდებულებები (მუხ. 1–4)

1. გთხოვთ, წარმოადგინოთ ინფორმაცია შემდეგ საკითხებთან დაკავშირებით:

(ა) შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ კანონპროექტის მიღების მიმართულებით მიღწეული გარკვეული პროგრესის, ასევე კონვენციით უზრუნველყოფილი გარანტიების სრული რეალიზაციისა და ამ დრომდე ფართოდ გამოყენებული სამედიცინო მოდელის გასაუქმებლად დამკვიდრებული ეფექტიანი მექანიზმების და პრაქტიკულად გატარებული ზომების შესახებ, როგორც ქალაქად, ისე ცენტრიდან მოშორებულ ადგილებში. გთხოვთ, მიუთითოთ, განსაზღვრავს თუ არა კანონპროექტი ტერმინს - „გონივრული მისადაგება“ - კონვენციის შესაბამისად და განმარტოთ, რამდენად გათვალისწინებულია ეს კონცეფციები ეროვნულ და მუნიციპალურ პოლიტიკის დოკუმენტებსა და პროგრამებში;

(ბ) 2014-2020 წლების ადამიანის უფლებათა ეროვნული სტრატეგიის და 2014–2015, 2016–2017 და 2018–2020 წლების სამოქმედო გეგმების აღსრულების შედეგების შესახებ; ასევე, შშმ პირთა უფლებების დაცვის შესახებ სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის შესამუშავებლად გადადგმული ნაბიჯების თაობაზე, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

(გ) შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი კანონმდებლობის, პოლიტიკის, პროგრამების თუ რეგულაციების შემუშავებასა და მონიტორინგის პროცესში, შშმ პირთა და მათი წარმომადგენლობითი ორგანიზაციების, მათ შორის, შშმ ქალებისა და ბავშვების ეფექტიანი მონაწილეობის უზრუნველსაყოფად და ხელშესაწყობად გადადგმული ნაბიჯების შესახებ, როგორც ქალაქად, ისე სოფლად;

(დ) კონვენციის ფაკულტატური ოქმის რატიფიცირებისთვის გადადგმული ნებისმიერი ნაბიჯის თაობაზე შესაბამისი ვადების მითითებით.

Please recycle

ბ. კონკრეტული უფლებები (მუხ. 5–30)

თანასწორუფლებიანობა და დისკრიმინაციის დაუშვებლობა (მუხ. 5)

2. გთხოვთ, წარმოადგინოთ ინფორმაცია გატარებული ზომების შესახებ:

(ა) კანონმდებლობის, მათ შორის, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური დაცვის შესახებ საქართველოს კანონის კონვენციასთან მისადაგების მიზნით, თანასწორუფლებიანობის და დისკრიმინაციის დაუშვებლობის შესახებ კომიტეტის ზოგადი კომენტარის №6 (2018) გათვალისწინებით, რაც უზრუნველყოფდა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა თანასწორ და ეფექტიან დაცვას შესაძლებლობის შეზღუდვის საფუძველზე წარმოქმნილი დისკრიმინაციის ყველა ფორმისგან - მრავლობითი და ურთიერთმკვეთი დისკრიმინაციის ჩათვლით, ლესბოსელი, გეი, ბისექსუალი, ტრანსგენდერი და ინტერსექსი შშმ პირების მიმართ;

(ბ) გონივრულ მისადაგებაზე უარის შესაძლებლობის შეზღუდვის საფუძველზე აღმოცენებული დისკრიმინაციის ფორმად აღიარების მიზნით, როგორც საჯარო ისე კერძო სექტორში;

(გ) შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის პრევენციის, გამოძიებისა და შესაბამისი სანქციების დაწესების, ასევე, სამართლებრივი დაცვისა და ზიანის ანაზღაურების საშუალებებზე შშმ პირთა ეფექტიანი წვდომის უზრუნველსაყოფად.

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალები (მუხ. 6)

3. გთხოვთ, წარმოადგინოთ ინფორმაცია გატარებული ზომების შესახებ:

(ა) შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალების და გოგონების უფლებების მეინსტრიმისა და მათი უფლებების ქვეყნის ძირითად პოლიტიკის დოკუმენტებსა და პროგრამებში გასათვალისწინებლად, შშმ პირთა უფლებების შესახებ გაეროს კონვენციის, შშმ ქალების და გოგონების შესახებ კომიტეტის №3 (2016) ზოგადი კომენტარისა და ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ ევროპის საბჭოს კონვენციის მოთხოვნათა შესაბამისად;

(ბ) რაც უზრუნველყოფს „გენდერული თანასწორობის შესახებ“ საქართველოს კანონით შშმ ქალებისა და გოგონების მიმართ მრავალმხრივი და ურთიერთმკვეთი დისკრიმინაციის აკრძალვას, შესაბამისი აღსრულების მექანიზმების დეტალების მითითებით;

(გ) გადაწყვეტილების მიმღებ ორგანოებში, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალების და გოგონების, განსაკუთრებით, სოფლად მცხოვრები შშმ ქალების, გოგონებისა და ხანდაზმული შშმ ქალების, მონაწილეობის და ჩართულობის უზრუნველსაყოფად.

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვები (მუხ. 7)

4. გთხოვთ, წარმოადგინოთ ინფორმაცია შემდეგ საკითხებთან დაკავშირებით:

(ა) ბავშვის უფლებათა კოდექსი - რამდენადაც ეხება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებს - შშმ ბავშვებთან ჩატარებული

კონსულტაციები, მათი წარმომადგენლობითი ორგანიზაციების მეშვეობით, მათთან დაკავშირებული კანონმდებლობის შემუშავების, მიღების და აღსრულების შესახებ;

(ბ) სიღარიბეში მცხოვრები შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვები, მათ შორის, სტატისტიკური მონაცემები და ის ნაბიჯები, რომლებიც გადაიდგა შშმ ბავშვების საცხოვრებელი პირობების გასაუმჯობესებლად მიღებული ზომების დაგეგმვისას მათი სპეციფიკური საჭიროებების გასათვალისწინებლად, მათი საცხოვრებელი პირობების გასაუმჯობესებლად და ადეკვატური საცხოვრებლით შშმ ბავშვთა უზრუნველსაყოფად;

(გ) ბავშვთა სოციალური დაცვის პროგრამების თითოეული შშმ ბავშვის ინდივიდუალურ საჭიროებებთან ადაპტირების და ეფექტიანი რეფერირების სისტემის დასანერგად გატარებული ზომები, როგორც ეს რეკომენდებულია ბავშვთა უფლებების კომიტეტის მიერ (CRC/C/GEO/CO/4, para. 30 (a));

(დ) მომსახურებების, მათ შორის, აბილიტაციის და რეაბილიტაციის მომსახურებების უზრუნველყოფა, წევრი სახელმწიფოს კონტროლს დაქვემდებარებულ ყველა სფეროში, მათ შორის, აუტიზმის მქონე ბავშვებისა და შშმ ბავშებისთვის, რომლებიც არ არიან ქვეყნის მოქალაქეები;

(ე) წევრი სახელმწიფოს პირველადი ანგარიშის 229-ე პარაგრაფში აღნიშნული შშმ ბავშვების დიდი ზომის სამზრუნველო დაწესებულებათა/სერვისების დეინსტიტუციონალიზაციის პროცესის მიმდინარე სტატუსი (CRPD/C/GEO/1), და სახელმწიფოს მხრიდან მიღებული ზომები, როგორც ქალაქად ისე სოფლად, სათანადო ალტერნატიული ზრუნვის ჩამოსაყალიბებლად ოჯახურ გარემოსთან მიახლოებულ პირობებში იმ შშმ ბავშვებისთვის, რომლებიც მოწყვეტილი არიან ოჯახს, როგორც ეს რეკომენდებულია ბავშვის უფლებათა კონვენციით (CRC/C/GEO/CO/4, para. 30 (b)).

5. გთხოვთ, წარმოადგინოთ ინფორმაცია მიღებული ზომების შესახებ:

(ა) სოფლად და ცენტრიდან მოშორებულ ადგილებში მცხოვრები და მინდობით აღზრდაში განთავსებული შშმ ბავშვების ჯანდაცვისა და განათლების მისაწვდომობის უზრუნველსაყოფად;

(ბ) შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვების უფლებებისა და მათთვის არსებული მიზნობრივი მომსახურებების შესახებ თავად შშმ ბავშვებისა და მათი მშობლებისა თუ ნათესავების, მათ შორის, მშვილებლებისა და მინდობით აღმზრდელებისთვის ცნობიერების ამაღლების მიზნით, განსაკუთრებით რეგიონებში;

(გ) ბავშვის ფიზიკური დასჯის აკრძალვის აღსასრულებლად.

ცნობიერების ამაღლება (მუხ. 8)

6. გთხოვთ, წარმოადგინოთ ინფორმაცია გადადგმული ნაბიჯების შესახებ:

(ა) კონვენციით გათვალისწინებული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების უფლებების შესახებ თავად შშმ პირთა, სასამართლო და სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენელთა და მომსახურების მომწოდებლების ცნობიერების ამაღლების ხელშესაწყობად;

(ბ) შეზღუდული შესაძლებლობის, განსაკუთრებით, ინტელექტუალური და ფსიქოსოციალური საჭიროების მქონე პირებთან დაკავშირებული სტერეოტიპებისა და მავნე ცრურწმენების აღმოსაფხვრელად, ცხოვრების ყველა ასპექტში.

მისაწვდომობა (მუხ. 9)

7. გთხოვთ, წარმოადგინოთ ინფორმაცია შემდეგ საკითხებზე:

(ა) სახელმწიფო და მუნიციპალურ დონეზე კერძო და სახელმწიფო მომსახურებებზე წვდომის უზრუნველყოფის შესახებ, მათ შორის, ჯანდაცვაზე, განათლებასა და ტრანსპორტზე, განსახლებასა და კომუნიკაციაზე წვდომის თაობაზე, მათ შორის, მხედველობისა და სმენის პრობლემების, ასევე ინტელექტუალური და ფსიქოსოციალური საჭიროების მქონე პირთათვის;

(ბ) მისაწვდომობის სტანდარტების ეფექტიანი აღსრულებისა და აღნიშნულ სტანდარტებთან შეუსაბამობის დადგენის შემთხვევაში, დაწესებული ჯარიმების მოქმედების მონიტორინგის მიზნით საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 178[1] და 178[2] მუხლების შესაბამისად, როგორც ეს აღნიშნულია სახელმწიფოს ანგარიშის 37-ე პუნქტში;

(გ) ზომები, რომლებიც მიღებულ იქნა შშმ პირთათვის იმ ბეჭდურ და ელექტრონულ ინფორმაციასა და კომუნიკაციაზე თანაბრად წვდომის უზრუნველსაყოფად, რომელიც ქვეყნდება საჯაროდ, მათ შორის, ასეთი ინფორმაციის ბრაილის შრიფტით და სხვა აუგმენტური და ალტერნატიული ფორმატებითა და კომუნიკაციის საშუალებებით მიწოდების გზით;

(დ) მისაწვდომობასთან დაკავშირებული კანონმდებლობისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების პროცესში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა, მათ შორის, შშმ ქალთა და ბავშვთა (მათი წარმომადგენლობითი ორგანიზაციების საშუალებით) მჭიდრო თანამშრომლობისა და აქტიური ჩართულობის უზრუნველყოფის შესახებ.

სიცოცხლის უფლება (მუხ. 10)

8. გთხოვთ, წარმოადგინოთ ინფორმაცია ჯანმრთელობის დაცვის შესახებ საქართველოს კანონის 148 (2) მუხლის მიხედვით, იმის თაობაზე, თუ როგორ მოქმედებს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე, განსაკუთრებით, ინტელექტუალური და ფსიქოსოციალური საჭიროების მქონე პირებზე ნათესავის ან კანონიერი წარმომადგენლის უფლება, უარი თქვას რეანიმაციულ მკურნალობაზე, ტერმინალურ მდგომარეობაში მოვლასა და პალიატიურ ზრუნვაზე, უგონოდ მყოფი ტერმინალური დაავადების მქონე პირისთვის.

სარისკო და საგანგებო ჰუმანიტარული სიტუაციები (მუხ. 11)

9. გთხოვთ, წარმოადგინეთ ინფორმაცია გაწეული ძალისხმევის შესახებ:

(ა) შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა მონაწილეობისა და შშმ პირთა ორგანიზაციების ჩართულობის უზრუნველსაყოფად, კატასტროფის რისკის შემცირებისა და ინკლუზიური ევაკუაციის სტრატეგიების და პოლიტიკის შემუშავების, განხორციელების, მონიტორინგის და შეფასების პროცესებში, მათ შორის, საქართველოს

კატასტროფის რისკის შემცირების 2017-2020 წლების ეროვნული სტრატეგიისა და მისი სამოქმედო გეგმის ფარგლებში;

(ბ) მისაწვდომი გამაფრთხილებელი სისტემების დანერგვისა და საგანგებო მომსახურებების შესახებ ინფორმაციის ყველასთვის მისაწვდომი ფორმატით, მათ შორის, ჟესტურ ენაზე გავრცელების უზრუნველსაყოფად;

(გ) იძულებით გადაადგილებულ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა წვდომისთვის საგანგებო განთავსებასა და ინკლუზიურ ჰუმანიტარულ დახმარებაზე და მათ მიმართ იძულებით გადაადგილების სახელმძღვანელო პრინციპების შესაბამისად მოპყრობის უზრუნველსაყოფად;

(დ) შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების სხვების თანასწორად დაცვის უზრუნველსაყოფად მიზნობრივი, მდგრადი ჰუმანიტარული საგანგებო ჩარჩოს შესაქმნელად, განსაკუთრებით, კორონავირუსის (COVID-19) პანდემიის შედეგად განვითარებული საზოგადოებრივი ჯანდაცვის საგანგებო მდგომარეობის კონტექსტში. კერძოდ, გთხოვთ, მიაწოდოთ კომიტეტს ინფორმაცია ვირუსის და მისი პრევენციის შესახებ ინფორმაციაზე შშმ პირების წვდომის უზრუნველყოფის; მხარდაჭერასა და ძირითად სათემო მომსახურებებზე, მათ შორის, ბინაზე მოვლასა და ინდივიდუალური ასისტენტის სერვისზე შშმ პირთა უწყვეტი წვდომის; ჯანდაცვაზე, მათ შორის, სიცოცხლის გადარჩენის ღონისძიებებზე თანასწორი წვდომისა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა პენსიის და სოციალური ბენეფიტების შეუფერხებლად მიღების გარანტირების მიზნით გატარებული ზომების შესახებ.

კანონის წინაშე თანასწორობა (მუხ. 12)

10. გთხოვთ, წარმოადგინოთ ინფორმაცია სასამართლოების საქმიანობის შესახებ, ქმედუნარიანობის რეფორმირებულ კანონმდებლობასთან დაკავშირებით. გთხოვთ, განსაკუთრებული ყურადღება გაამახვილოთ იმაზე, თუ რამდენად ასახავს სასამართლო თავის გადაწყვეტილებებში ქმედუნარიანობის სისტემის ახალ მოდელს და რა დოზით გამოიყენება ძველი მოდელი ახალი კანონმდებლობის ფარგლებში.

11. გთხოვთ, წარმოადგინოთ ინფორმაცია იმ გადადგმული ნაბიჯების შესახებ, რომელიც უზრუნველყოფს:

(ა) შესაბამისი კანონმდებლობის გადასინჯვას, „მხარდაჭერის მიმღები“ პირის მიმართ არსებული ყველა შეზღუდვის გასაუქმებლად, რომელიც ზღუდავს მის მიერ მისი ჯანმრთელობის, დასაქმების და საზოგადოებრივ ცხოვრებაში მონაწილეობის უფლებების სრულ რეალიზაციას და კრძალავს საქორწინო კონტრაქტის გარეშე ქორწინებასა და მინდობით აღმზრდელად ან მშვილებლად ყოფნის შესაძლებლობას. გთხოვთ, წარმოადგინოთ ინფორმაცია მხარდამჭერის როლის და აქტივობების მონიტორინგის და შეფასების არსებული მექანიზმებისა და მათი კონვენციასთან შესაბამისობის შესახებ;

(ბ) ინფორმაცია მხარდაჭერითი გადაწყვეტილების მიღების კონვენციის შესაბამისი რეჟიმის დასანერგად, კანონის წინაშე თანასწორობის შესახებ კომიტეტის №1 (2014) ზოგადი კომენტარის გათვალისწინებით.

მართლმსაჯულების მისაწვდომობა (მუხ. 13)

12. გთხოვთ, წარმოადგინოთ ინფორმაცია იმ გადადგმული ნაბიჯების შესახებ, რომელიც უზრუნველყოფს:

(ა) შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების, განსაკუთრებით ინტელექტუალური ან ფსიქოსოციალური საჭიროების მქონე, შშმ ქალთა, უსინათლო ან მხედველობის პრობლემის მქონე პირთა მართლმსაჯულებაზე ეფექტიან წვდომას, მათ შორის, სამართალწარმოების მთელი პროცესის განმავლობაში პროცესუალური, გენდერული და ასაკობრივი მისადაგების უზრუნველყოფით, განსაკუთრებით, სასამართლო და ადმინისტრაციულ პროცესებში;

(ბ) მართლმსაჯულების სისტემის პერსონალის გადამზადებას, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების, კონვენციის დებულებების და მათი ეროვნულ კანონმდებლობაში ასახვის, მათ შორის კონვენციის 12-ე მუხლის მოთხოვნების შესახებ.

პიროვნების თავისუფლება და უსაფრთხოება (მუხ. 14)

13. გთხოვთ, წარმოადგინოთ ინფორმაცია:

(ა) სასჯელაღსრულების დაწესებულებებში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების განხორციელებისთვის გატარებული ზომების, მათ შორის, პირველადი შეფასებების, მისაწვდომი ინფრასტრუქტურის და მომსახურებების, რეაბილიტაციის სერვისებსა და ჯანდაცვაზე წვდომის, პერსონალის ტრენინგის და კონფიდენციალური გასაჩივრების მექანიზმებზე წვდომის უზრუნველყოფის შესახებ;

(ბ) შესაძლებლობის შეზღუდვის საფუძველზე თავისუფლების აღკვეთასთან დაკავშირებული კანონებისა და პრაქტიკის შესახებ, განსაკუთრებით, ინტელექტუალური ან ფსიქოსოციალური საჭიროების მქონე პირთა შემთხვევაში;

(გ) შეზღუდვის (შებოჭვის, ფიზიკური და სხვა) და არანებაყოფლობითი მკურნალობის გამოყენების შესახებ იმ დაწესებულებებში, სადაც შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს შეზღუდული აქვთ თავისუფლება, და იმ ზომების შესახებ, რომლებიც მიზნად ისახავს მსგავსი პრაქტიკის დასრულებასა და სრულად აკრძალვას;

(დ) იმ ზომების შესახებ, რომლებიც მიღებულ იქნა ადამიანის უფლებებისა და ბიომედიცინის შესახებ კონვენციის ფაკულტატიური ოქმის პროექტის არსებული ფორმის ოპონირების მიზნით, რომელიც ეხება ბიოლოგიისა და მედიცინის გამოყენების კონტექსტში „ფსიქიკური დარღვევების მქონე პირთა უფლებებისა და ღირსების დაცვას იძულებით მკურნალობისა და დაწესებულებაში იძულებით განთავსებისას“, კომიტეტის მე-20 სესიაზე მიღებული წინადადების შესაბამისად;

(ე) იმ ზომების შესახებ, რომლებიც მიღებულ იქნა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვების დამოუკიდებლობის და უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად და შშმ ბავშვთა ფსიქიატრიულ და სხვა ტიპის დაწესებულებებში მოთავსების თავიდან ასაცილებლად.

წამების ან სასტიკი, არაჰუმანური, დამამცირებელი მოპყრობის ან სასჯელისაგან თავისუფლება (მუხ. 15)

14. გთხოვთ, წარმოადგინოთ ინფორმაცია:

(ა) იმ ზომების შესახებ, რომლებიც მიღებულ იქნა მოქმედი კანონმდებლობიდან, პოლიტიკის დოკუმენტებიდან თუ პრაქტიკიდან ყველა სახის დაწესებულებაში არანებაყოფლობითი სამედიცინო პროცედურების და მკურნალობის ყველა ფორმის, ქიმიური და მექანიკური შეზღუდვების, განმარტოებისა და იზოლირების და არასათანადო მოპყრობის სხვა ფორმების აღმოფხვრის შესახებ, განსაკუთრებით, ინტელექტუალური და ფსიქოსოციალური საჭიროების მქონე პირთა მიმართ;

(ბ) შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის საპროცესო მისადაგებაზე წვდომის შესახებ ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 21[18]-ე მუხლი შესაბამისად, პირველი ინსტანციის და სააპელაციო წარმოებისას;

(გ) დახურული ტიპის დაწესებულებებში მყოფი ლესბოსელი, გეი, ბისექსუალი, ტრანსგენდერი და ინტერსექსი შშმ პირების უსაფრთხოების დაცვის გასაუმჯობესებლად გატარებული ზომების შესახებ.

ექსპლუატაციის, ძალადობისა და შეურაცხყოფისაგან თავისუფლება (მუხ. 16)

15. გთხოვთ, წარმოადგინოთ ინფორმაცია:

(ა) შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების, მათ შორის, შშმ ქალების და გოგონების, ლესბოსელი, გეი, ბისექსუალი, ტრანსგენდერი და ინტერსექსი შშმ პირების, განსაკუთრებით, სოფლად, ექსპლუატაციის, ძალადობის და შეურაცხყოფის ყველა ფორმის პრევენციის, აკრძალვის და აღმოფხვრის მიზნით გატარებული ზომების შესახებ; ასევე, ინფორმაციის/საჩივრის წარდგენის საყოველთაოდ მისაწვდომი მექანიზმების უზრუნველყოფის შესახებ;

(ბ) ძალადობის, განსაკუთრებით, სექსუალური ძალადობის მსხვერპლი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალების სამედიცინო და ფსიქოლოგიურ ზრუნვასა და რეაბილიტაციაზე, მართლმსაჯულებასა და შესაბამის კომპენსაციაზე და სოციალური ინტეგრაციის მომსახურებებზე წვდომის უზრუნველყოფის შესახებ;

(გ) მიმდინარე სტატისტიკური მონაცემების შესახებ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ექსპლუატაციის, მათ მიმართ ძალადობის და შეურაცხყოფის, მათ შორის, სექსუალური ძალადობის შესახებ, სქესის, ასაკის, სექსუალური ორიენტაციის, გენდერული იდენტობის და გეოგრაფიული განაწილების მიხედვით.

პიროვნების ხელშეუხებლობის დაცვა (მუხ. 17)

16. გთხოვთ, წარმოადგინოთ ინფორმაცია გატარებული ან დაგეგმილი ზომების შესახებ:

(ა) შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა, განსაკუთრებით, ინტელექტუალური და ფსიქოსოციალური საჭიროების მქონე პირთა, იძულებითი ან არანებაყოფლობითი სტერილიზაციის ელიმინაციის მიზნით;

(ბ) შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სამედიცინო პროცედურებზე წვდომის უზრუნველსაყოფად, ყოველგვარი

დისკრიმინაციის გარეშე, მათ შორის, ისეთ პროცედურაზე, როგორიცაა ინ ვიტრო განაყოფიერება.

დამოუკიდებელი ცხოვრება და საზოგადოებრივ ცხოვრებაში ჩართვა (მუხ. 19)

17. გთხოვთ, წარმოადგინოთ ინფორმაცია:

(ა) შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების, მათ შორის, ხანდაზმული შშმ პირების, შშმ ბავშვების და ინტელექტუალური ან ფსიქოსოციალური საჭიროების მქონე პირებისთვის განკუთვნილი დიდი ზომის დაწესებულებებისა და სერვისების დეინსტიტუციონალიზაციის დასრულების მიზნით გატარებული ზომების, დამოუკიდებელი ცხოვრების და საზოგადოებრივ ცხოვრებაში ჩართვის და მცირე ზომის დაწესებულებებში რეინსტიტუციონალიზაციის პრევენციის შესახებ კომიტეტის №5 (2017) ზოგადი კომენტარის გათვალისწინებით;

(ბ) იმ ზომების შესახებ, რომლებიც მიღებულ იქნა საზოგადოებაში ხელმისაწვდომ განსახლებასა და თემზე დაფუძნებულ მხარდამჭერ სერვისებზე წვდომისთვის, რაც შესაძლებლობას აძლევს ზრდასრულ შშმ პირებს სხვების თანასწორად აირჩიონ, სად და ვისთან ერთად იცხოვრონ.

ინდივიდუალური მობილობა (მუხ. 20)

18. გთხოვთ, წარმოადგინოთ ინფორმაცია:

(ა) სოციალური რეაბილიტაციის და ბავშვზე ზრუნვის სახელმწიფო პროგრამის დამხმარე საშუალებებით უზრუნველყოფის ქვეპროგრამის ფარგლებში გამოყოფილი ყოველწლიური ასიგნებების შესახებ; ასევე, აღნიშნული ქვეპროგრამის ფარგლებში ჩართული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ხვედრითი წილის თაობაზე, შესაძლებლობის შეზღუდვის ტიპის მითითებით, რეგიონების მიხედვით;

(ბ) იმ ზომების შესახებ, რომლებიც იქნა მიღებული იმ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების უზრუნველსაყოფად, რომლებიც არ არიან ჩართული დამხმარე საშუალებებით უზრუნველყოფის ქვეპროგრამით გათვალისწინებული გადაადგილების საშუალებებითა და დამხმარე მოწყობილობებით. გთხოვთ, მიუთითოთ შესაბამისი წლიური საბიუჯეტო ასიგნებები.

(გ) იმ ზომების შესახებ, რომლებიც უზრუნველყოფენ, რომ სამშენებლო და ინფრასტრუქტურული დაგეგმარება იძლეოდეს ინდივიდუალური მობილობის საშუალებას, როგორც ქალაქად ისე სოფლად. გთხოვთ, ასევე წარმოადგინოთ აღნიშნული მიმართულებით არსებული მონიტორინგის მექანიზმები.

აზრის და რწმენის გამოხატვის თავისუფლება და ინფორმაციის მისაწვდომობა (მუხ. 21)

19. გთხოვთ, წარმოადგინოთ ინფორმაცია:

(ა) არსებული კანონმდებლობის, პოლიტიკისა და პროგრამების შესახებ, რომლებიც უზრუნველყოფს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების სრულ წვდომას საჯარო ინფორმაციაზე, მათ შორის, საჯარო ღონისძიებების შესახებ ინფორმაციაზე წვდომას ტელევიზიით, რადიოთი და ინტერნეტით;

(ბ) არსებული პოლიტიკის, პროგრამების და საბიუჯეტო ასიგნებების შესახებ, რომლებიც ხელს უწყობს ჟესტური ენის და კომუნიკაციის სხვა

შესაბამისი მეთოდების, საშუალებებისა და ფორმატების გამოყენებას, როგორიცაა ბრაილი, უდიო და ტაქტილური ინფორმაცია, აუგმენტური და ალტერნატიული კომუნიკაცია, გამარტივებული ვერსიებისა და პიქტოგრამების გამოყენებას ფორმალურ და არაფორმალურ ურთიერთობებში;

(გ) საჯარო და კერძო სექტორებში ჟესტური ენის კვალიფიციური თარჯიმნების რაოდენობის გასაზრდელად გადადგმული ნაბიჯების შესახებ;

(დ) წევრი ქვეყნის კანონით, რეგულაციით ან ადმინისტრაციული აქტით გათვალისწინებული აუდიო ვიზუალური მედია სერვისების განხორციელების კოორდინაციის შესახებ, ევროპის პარლამენტის და საბჭოს, 2020 წლის 10 მარტის, ასევე 2010/13/EU დირექტივის შესაბამისად, ევროკავშირსა და საქართველოს შორის ასოცირების ხელშეკრულების XXXIII დანართის საფუძველზე.

პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა (მუხ. 22)

20. გთხოვთ, მოგვაწოდოთ ინფორმაცია:

(ა) იმ ზომების შესახებ, რომლებიც მიღებულ იქნა პერსონალური მონაცემების ავტომატური დამუშავებისას ფიზიკური პირების დაცვის შესახებ კონვენციის შესწორების ოქმის რატიფიცირების მიზნით (ევროპის საბჭოს ხელშეკრულების სერია №223);

(ბ) ჯანდაცვის სისტემაში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა პერსონალური მონაცემების დაცვის მიზნით დაგეგმილი, ამოქმედებული და განხორციელებული სტანდარტების შესახებ.

საცხოვრებლისა და ოჯახის პატივისცემა (მუხ. 23)

21. გთხოვთ, წარმოადგინოთ ინფორმაცია იმ სამართლებრივი და სხვა ზომების შესახებ, რომლებიც:

(a) კრძალავს ბავშვის მშობლისაგან განცალკევებას მშობლის ან ბავშვის შესაძლებლობის შეზღუდვის საფუძვლით, მათ შორის, სახელმწიფო ზრუნვაში მყოფ პირთა შემთხვევაში.

(ბ) უზრუნველყოფს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებისა და მათი ოჯახების მხარდაჭერას; ასევე, შშმ მშობლების მხარდაჭერას მათ მიერ მშობლისთვის დაკისრებული პასუხისმგებლობის განხორციელების პროცესში.

განათლება (მუხ. 24)

22. გთხოვთ, წარმოადგინოთ ინფორმაცია:

(ა) ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ საქართველოს კანონის (2016) განხორციელებისა და აღნიშნული მიმართულებით გამოყოფილი ადამიანური, ტექნიკური და ფინანსური რესურსების გამოყოფისა და განკარგვის თაობაზე, როგორც სახელმწიფო, ისე მუნიციპალურ დონეებზე. გთხოვთ, წარმოადგინოთ სტატისტიკური მონაცემები ამ კანონის შესაბამისად სასწავლო პროცესში ჩართული შშმ ბავშვების პროცენტული მაჩვენებლების შესახებ, შესაძლებლობის შეზღუდვის ტიპის, ასაკისა და სქესის მიხედვით, როგორც ქალაქად, ისე სოფლად;

(ბ) წევრი სახელმწიფოს ანგარიშის 162-ე მუხლით განსაზღვრული მულტიდისციპლინური ჯგუფის შემადგენლობის, ასევე, ჯგუფის წევრების პროფესიული ცოდნისა და გამოცდილების და საგანმანათლებლო პროცესში ჩართული მთელი პერსონალის ინკლუზიური განათლებისა და გონივრული მისადაგების საკითხებზე გადამზადების შესახებ;

(გ) ინკლუზიურ ზოგადსაგანმანათლებლო პროცესში ჩართული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვების პროცენტული მაჩვენებლის შესახებ, შესაძლებლობის შეზღუდვის ტიპის, ასაკის და სქესის მითითებით, როგორც ქალაქად, ისე სოფლად;

(დ) შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ახალგაზრდების წვდომის შესახებ ძირითად საუნივერსიტეტო და პროფესიულ განათლებაზე და მათი შრომის ღია ბაზარზე შესვლის შესაძლებლობების თაობაზე.

ჯანმრთელობა (მუხ. 25)

23. გთხოვთ, წარმოადგინოთ ინფორმაცია:

(ა) იმ ზომების შესახებ, რომლებიც უზრუნველყოფს შშმ პირთა წვდომას ჯანდაცვის დაწესებულებებზე, სერვისებსა და აღჭურვილობაზე, განსაკუთრებით, რეგიონებში.

(ბ) ყველა შშმ ბავშვის და მოზრდილის ადრეული გამოვლენისა და ინტერვენციის სისტემის გაფართოების მიზნით გადადგმული ან დაგეგმილი ნაბიჯების შესახებ;

(გ) იმ ზომების შესახებ, რომლებიც იქნა მიღებული შშმ პირთა, კერძოდ, შშმ ქალთა და გოგონათა სექსუალურ და რეპროდუქციულ ჯანმრთელობასთან და უფლებებთან დაკავშირებული ჯანდაცვის ყოვლისმომცველი სერვისების მისაწვდომობის უზრუნველსაყოფად, სხვების თანასწორ პირობებში;

(დ) შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ ჯანდაცვის პერსონალისთვის ჩატარებული ტრენინგების შესახებ.

აბილიტაცია და რეაბილიტაცია (მუხ. 26)

24. გთხოვთ, წარმოადგინოთ ინფორმაცია:

(a) შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური დაცვის შესახებ საქართველოს კანონის III თავით განსაზღვრული დებულებების განხორციელების თაობაზე, რაც მოიცავს, მაგრამ არ შემოიფარგლება შემდეგი საკითხებით: დაფინანსების უზრუნველყოფა, სასწავლო პროგრამები სამედიცინო პერსონალისთვის, ინდივიდუალური აბილიტაციის და რეაბილიტაციის პროგრამებზე წვდომა, სოფლად მცხოვრები შშმ პირებისთვის მიზნობრივი პროგრამების არსებობა, განსაკუთრებით, ქალებისა და გოგონებისთვის გამიზნული პროგრამები;

(ბ) შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის თანაბარი შესაძლებლობის უზრუნველყოფის 2014 -2016 წლების სამთავრობო სამოქმედო გეგმის შესრულებით მიღწეული შედეგების შესახებ; ასევე, ინფორმაცია არსებული მიმდინარე გეგმის შესახებ, რომელიც მიზნად ისახავს ქვეყნის მასშტაბით აბილიტაცია/რეაბილიტაციის პროგრამების განხორციელებას.

(c) აბილიტაციის და რეაბილიტაციის სერვისების შეფასების და მონიტორინგის მიზნით გატარებული ზომების თაობაზე,

შრომა და დასაქმება (მუხ. 27)

25. გთხოვთ, წარმოადგინოთ ინფორმაცია:

(ა) შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური დაცვის შესახებ კანონის V თავში განსაზღვრული დებულებების, მათ შორის: არსებული პოლიტიკური დოკუმენტების, სამოქმედო გეგმების შესრულების და სხვა ზომების გატარების შესახებ. გთხოვთ, მიუთითოთ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა პროცენტული რაოდენობა, რომლებიც არიან დასაქმებულნი საჯარო და კერძო სექტორში, შშმ პირთა სექსის, ასაკისა და შესაძლებლობის შეზღუდვის ტიპის მითითებით.

(ბ) დასაქმების ხელშეწყობის პროგრამის, ან მისი უფლებამონაცვლის ამჟამინდელი სტატუსის შესახებ. გთხოვთ, წარმოადგინოთ სტატისტიკური მონაცემები ამ პროგრამის ფარგლებში დასაქმებული პირების შესახებ, შესაძლებლობის შეზღუდვის ტიპის, სქესის, ასაკის, დასაქმების ხანგრძლივობის, პროფესიული კვალიფიკაციის და გეოგრაფიული მოცვის მიხედვით;

(გ) შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების, განსაკუთრებით, შშმ ქალების, სოფლად ღია შრომის ბაზრებზე დასაქმების გასაზრდელად შემუშავებული ნებისმიერი პროგრამის შესახებ;

(დ) სამუშაო ადგილებზე გონივრული მისადაგების უზრუნველყოფის შესახებ, როგორც საჯარო ისე კერძო სექტორში. ასევე, ინფორმაცია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე საჯარო მოსამსახურეების სოციალური მხარდაჭერის თაობაზე.

ცხოვრების ადეკვატური სტანდარტი და სოციალური დაცვა (მუხ. 28)

26. გთხოვთ, წარმოადგინოთ ინფორმაცია იმ ზომების შესახებ, რომლებიც იქნა მიღებული:

(ა) სიღარიბის დაძლევის არსებულ პროგრამაში შშმ პირების მონაწილეობის უზრუნველსაყოფად, მთავრობის ყველა დონეზე;

(ბ) სოციალური დაცვის სისტემის შესაძლებლობის შეზღუდვის ადამიანის უფლებებზე დაფუძნებული მიდგომებით გადახედვისა და შესაძლებლობის შეზღუდვის შეფასების სისტემისა და კრიტერიუმების შეცვლის მიზნით;

(გ) როგორც სამთავრობო, ისე მუნიციპალურ დონეზე, შშმ პირთა სათანადო საცხოვრისით უზრუნველსაყოფად, საქართველოს კონსტიტუციის 5 (4) -ე მუხლის შესაბამისად. გთხოვთ, მიუთითოთ აღნიშნული მიმართულებით გატარებულ ღონისძიებებში სამიზნე შშმ პირთა ხვედრითი წილი, შესაძლებლობის შეზღუდვის ტიპის, სქესის, ასაკის და გეოგრაფიული მოცვის მითითებით.

პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში მონაწილეობა (მუხ. 29)

27. გთხოვთ, წარმოადგინოთ ინფორმაცია გატარებული ზომების შესახებ, რომლებიც უზრუნველყოფს:

(ა) ყველა არჩევნებზე, რეფერენდუმსა და პლებისციტზე წვდომას შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ყველა პირისთვის, მათ შორის, ინტელექტუალური ან ფსიქოსოციალური საჭიროების მქონე პირთათვის,

ასევე, სამედიცინო და სტაციონარულ დაწესებულებებში მყოფი შშმ პირებისთვის, იმგვარად, რომ დაცული იყოს ხმის მიცემის ფარულობა, და რომ საარჩევნო ადმინისტრაციის წარმომადგენლებს გავლილი ჰქონდეთ ტრენინგი შშმ პირების მიერ ხმის მიცემის უფლების შესახებ;

(ბ) შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ყველა პირის, განსაკუთრებით, ქალების, ეფექტიან და სრულ მონაწილეობას პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში, სხვების თანასწორად, პირდაპირ ან თავისუფლად შერჩეული წარმომადგენლებით, შშმ პირის აქტიური და პასიური საარჩევნო უფლების რეალიზაციის გზით.

მონაწილეობა კულტურულ, სპორტულ, გასართობ და რეკრეაციულ ღონისძიებებში (მუხ. 30)

28. გთხოვთ, წარმოადგინოთ ინფორმაცია იმ ზომების შესახებ, რომლებიც მიღებულ იქნა:

(ა) მარაქეშის შეთანხმების რატიფიცირებისა და აღსრულების მიზნით, შესაბამისი შესრულების ვადების მითითებით, რაც ხელს შეუწყობს და უზრუნველყოფს უსინათლო, მხედველობის პრობლემის მქონე და სხვა მიზეზით ბეჭდური მასალის წაკითხვის შესაძლებლობის არმქონე პირთა წვდომას სხვადასხვა ბეჭდურ პუბლიკაციასა თუ ნაშრომზე.

(ბ) შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების, მათ შორის, შშმ ბავშვების, ინკლუზიურ სპორტულ და გასართობ ღონისძიებებსა და კულტურულ აქტივობებში მონაწილეობის უზრუნველსაყოფად, აღნიშული მიმართულებით გამოყოფილი საბიუჯეტო სახსრების მითითებით.

გ. კონკრეტული ვალდებულებები (მუხ. 31–33)

სტატისტიკა და მონაცემთა შეგროვება (მუხ. 31)

29. გთხოვთ, წარმოადგინოთ ინფორმაცია გატარებული ზომების შესახებ:

(ა) კონვენციის განხორციელების ხელშემწყობი პოლიტიკის ფორმულირებისთვის საჭირო სტატისტიკური და კვლევითი მონაცემების შესაგროვებლად, რომელიც დაყოფილია ასაკის, სქესის, შესაძლებლობის შეზღუდვის ტიპის, ეთნიკური და ეროვნული წარმომავლობის, მიგრაციის სტატუსის, გეოგრაფიული დანაწილების და სოციალურ-ეკონომიკური სტატუსის მიხედვით, რაც ასევე იძლევა შესაბამისი ინდიკატორების და ნიშნულების შემუშავების შესაძლებლობას;

(ბ) ამ სტატისტიკის გავრცელებისა და მასზე შშმ პირების წვდომის უზრუნველსაყოფად.

საერთაშორისო თანამშრომლობა (მუხ. 32)

30. გთხოვთ, წარმოადგინოთ ინფორმაცია გატარებული ზომების შესახებ:

(ა) რომელიც ხელს უწყობს საერთაშორისო თანამეგობრობასთან თანამშრომლობის გაგრძელებასა და გაძლიერებას, საერთაშორისო ადამიანის უფლებათა და ჰუმანიტარული სფეროს წარმომადგენლებისა და მონიტორინგის მექანიზმების წვდომის უზრუნველსაყოფად აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონზე/სამხრეთ ოსეთზე, რაც მიზნად

ისახავს იძულებით გადაადგილებული პირების, მათ შორის, შშმ პირების უფლებრივი მდგომარეობის მონიტორინგს და გაუმჯობესებას;

(ბ) უზრუნველყოფს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ორგანიზაციების აქტიურ ჩართულობას საერთაშორისო ინიციატივების შემუშავებისა და შესრულების შესახებ კონსულტაციებში.

განხორციელება და მონიტორინგი ეროვნულ დონეზე (მუხ. 33)

31. გთხოვთ, წარმოადგინოთ ინფორმაცია შემდეგ საკითხებთან დაკავშირებით:

(ა) შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საკითხებზე მომუშავე სახელმწიფო საკოორდინაციო საბჭოსა და მთავრობის ადმინისტრაციის ადამიანის უფლებათა სამდივნოს, როგორც ადგილობრივი საკონტაქტო უწყების, წინაშე არსებული გამოწვევები. გთხოვთ, მიუთითოთ კონვენციის აღსრულების კოორდინაციისთვის მიღებული ან დაგეგმილი ზომები და გადადგმული ნაბიჯები, მათ შორის, მუნიციპალურ დონეზე; ასევე, ინფორმაცია ამ ზომების გატარებისა და კოორდინაციის მექანიზმის ეფექტიანი ფუნქციონირების მიზნით გამოყოფილი ადამიანური, ტექნიკური და ფინანსური რესურსების შესახებ;

(ბ) სახალხო დამცველის აპარატის როლი და შესაძლებლობები კონვენციის პოპულარიზაციის, დაცვის და იმპლემენტაციის მონოტორინგის მიმართულებით და ტექნიკური, ფინანსური და ადამიანური რესურსების გამოყოფა, მისი მანდატის ეფექტიანი განხორციელებისთვის;

(გ) შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების და მათი წარმომადგენლობითი ორგანიზაციების კონვენციის აღსრულების მონიტორინგში ჩართულობის მასშტაბი.